

# სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები და პრაქტიკული ხარვეზები



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ზედამხედველობით“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

**დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი**

**2024**



## სარჩევი

შესავალი .....	5
მეთოდოლოგია .....	6
1. საანგარიშო პერიოდში არსებული პოლიტიკური კონტექსტი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური .....	7
2. უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმები. ....	8
2.1. პარლამენტის წევრის კითხვა .....	8
2.2. ინტერპელაცია .....	9
2.3. თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება .....	9
2.4. თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება .....	9
2.5. დროებითი საგამოძიებო კომისიები .....	10
2.6. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენება, წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ .....	10

3. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე პრაქტიკულად განხორციელებული	
საპარლამენტო კონტროლი .....	11
3.1. პოლიტიკური კონტექსტი.....	11
3.2. საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმები და სახელმწიფო	
უსაფრთხოების სამსახური .....	12
3.2.1. წერილობითი კითხვა .....	12
3.2.2. კონტროლის სხვა მექანიზმები .....	13
3.2.3. ნდობის ჯგუფი .....	13
4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის	
შეფასება .....	16
4.1. ოკუპირებული ტერიტორიები .....	18
4.2. სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა .....	20
4.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა .....	23
4.4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა .....	24
4.5. სამართლებრივი ბაზის განვითარება .....	26
4.6. ანგარიშვალდებულება.....	27
5. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რესურსების არარაციონალური ხარჯვა	28
6. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის პრაქტიკული ხარვეზები ...	29
ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების საქმე .....	30
„რევოლუციური სცენარი“ 2023 .....	31
„რევოლუციური სცენარი“ 2024 .....	32
სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმის საქმე.....	33
შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ.....	33
შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.....	34
დასკვნა .....	35

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას, რისთვისაც ახორციელებს როგორც ანალიტიკურ საქმიანობას, ასევე, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ დანაშაულთა გამოვლენას, აღკვეთას და გამოძიებას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფართო მანდატიდან გამომდინარე, სამსახურზე ეფექტიანი დემოკრატიული კონტროლის განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, უსაფრთხოების სამსახურებზე პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განხორციელებულ ზედამხედველობას „დემოკრატიული ლეგიტიმაციის“ განსაკუთრებით მაღალი ხარისხი გააჩნია.

წინამდებარე ანგარიშში, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობის მონიტორინგის რვათვიან პერიოდს აჯამებს, გაანალიზებულია და კრიტიკულადაა შეფასებული უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო ზედამხედველობისა და კონტროლის არსებული მექანიზმების ეფექტიანობა. დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშს.

დოკუმენტის პირველ თავში მოცემულია საანგარიშო პერიოდში არსებული პოლიტიკური კონტექსტი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა პოლიტიკური პროცესების ფონზე, მეორე თავში გაანალიზებულია უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები. ანგარიშის მესამე თავი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებს და არსებულ გამოწვევებს ეხება. ანგარიშის მეოთხე თავში მოცემულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის ანალიზი. დოკუმენტის მეხუთე და მეექვსე თავებში განხილულია სუს-ის საქმიანობის პრაქტიკული მხარე კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. ანგარიშის დასასრულს მოცემულია შემაჯამებელი დასკვნა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ უსაფრთხოების სექტორში შემავალ სამსახურებზე საპარლამენტო საქმიანობის მრავალწლიანი მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლი უკიდურესად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესება ევროკომისიის ერთ-ერთ დათქმას წარმოადგენდა, საპარლამენტო ზედამხედველობა საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო შესუსტდა. კონტროლის ერთადერთი მექანიზმი, რაც დეპუტატებმა საანგარიშო პერიოდში გამოიყენეს, პარლამენტის წევრის წერილობითი კითხვა იყო. სუს-თან მიმართებით, წინა წლების მსგავსად, არ გამოყენებულა ინტერპელაციის, ან თანამდებობის პირის კომიტეტის და პლენარულ სხდომაზე დაბარების მექანიზმი.

2022 წლის მსგავსად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში კვლავ შაბლონური და უკიდურესად ზოგადია. მისი ზოგადი შინაარსი, საზოგადოებას არ უქმნის რეალურ წარმოდგენას სამსახურის საქმიანობის შესახებ, საქართველოს პარლამენტს კი ვერ აწვდის იმ მოცულობის ინფორმაციას, რაც ამ უკანასკნელს სუს-ზე დემოკრატიული საპარლამენტო კონტროლის შესაძლებლობისთვის სჭირდება. სუს-ის ანგარიშის ანალიზი კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ უწყების რესურსი არარაციონალურად იხარჯება და მისი ინტერესი რეალური საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ არაა მიმართული.

## მეთოდოლოგია

ანგარიშში განხილულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე (შემდეგში - „სუს-ი“ ან „სამსახური“) საპარლამენტო ზედამხედველობის საკანონმდებლო მექანიზმები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები. კერძოდ, ახორციელებს თუ არა საქართველოს პარლამენტი სამსახურზე სათანადო კონტროლს, სრულად იყენებს თუ არა თავის მანდატს ზედამხედველობის პროცესში, განპირობებულია თუ არა არასათანადო კონტროლი საკანონმდებლო ხარვეზებით, აქვს თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სათანადო ანგარიშვალდებულება საკანონმდებლო ორგანოს წინაშე და რა პროცედურული დარღვევები გამოიკვეთა ამ თვალსაზრისით. საანგარიშო პერიოდად განსაზღვრულია 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

კვლევა ეფუძნება დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მოპოვებულ ინფორმაციას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობის შესახებ მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებისა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზს.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ანგარიშის შემუშავების პროცესში შემდეგი მეთოდოლოგია გამოვიყენეთ:

**მონაცემების დამუშავება და ანალიზი** - კვლევის საწყის ეტაპზე განვსაზღვრეთ შესასწავლი ნორმატიული აქტების ნუსხა და დავამუშავეთ საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული მონაცემები. პროექტის მიზნებისთვის, ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს პარლამენტიდან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან.

**სამაგიდო კვლევის** ფარგლებში შევკრიბეთ და გავანალიზეთ საქართველოს პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია.





# 1. საანგარიშო პერიოდში არსებული პოლიტიკური კონტექსტი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

საანგარიშო პერიოდში საქართველოში პოლიტიკური პროცესი ქუჩის საპროტესტო აქციებით იყო დატვირთული. 2024 წლის აპრილში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (ე.წ. რუსული) კანონპროექტის ხელმეორედ ინიცირებამ საზოგადოებაში მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. კანონის გასაპროტესტებლად მიმდინარე აქციებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2024 წლის 8 მაისს საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა და „უცხო ქვეყნებიდან მომდინარე დაფინანსებით მართული“ საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების ლიდერები და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რაიმე სახის მტკიცებულების გარეშე, ძალადობრივი სცენარების დაგეგმვაში დაადანაშაულა, რაც, სუს-ის განცხადებით, მიზნად ისახავდა „ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას.“<sup>1</sup>

ქუჩის საპროტესტო აქციების პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა სასესიო მუშაობა პარლამენტის შენობასთან მობილიზებული მასშტაბური საპოლიციო ძალის მხარდაჭერით გააგრძელა. პროტესტის მიუხედავად, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი სამი მოსმენით მაინც მიიღო. მართალია, საპარლამენტო ოპოზიციამ კანონპროექტის განხილვის პროცესში მონაწილეობდა და პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე წინააღმდეგობას გამოხატავდა, თუმცა საპარლამენტო მუშაობის ზოგი მექანიზმი (ინტერპელაცია, სუს-ის ხელმძღვანელის პლენარულ სხდომაზე დაბარება) ეფექტიანად ვერ იქნა გამოყენებული უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის გასაწევად.

საპარლამენტო მექანიზმების გამოყენებით, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნებოდა ჩვენება, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციების „რევოლუციურ სცენარებთან“ და „ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობასთან“ დაკავშირება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ზოგადად ხელისუფლების მიერ წამოწყებულ დეზინფორმაციულ კამპანიას წარმოადგენდა, რომელიც არანაირი მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული. ასევე, საინტერესო იქნებოდა სხვადასხვა საპარლამენტო მექანიზმების გამოყენება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე რუსული გავლენების საჩვენებლად.

პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, საპარლამენტო ოპოზიციამ პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში მუშაობდა, რამაც საპარლამენტო საქმიანობაზე და მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეფექტიან საპარლამენტო კონტროლზე დადებითი გავლენა არ მოახდინა.

<sup>1</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 08.05.2024, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება“, ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/news/932/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba>



## 2. უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე.<sup>2</sup> საპარლამენტო კონტროლი გამოიხატება საქართველოს პარლამენტისთვის კონსტიტუციით და პარლამენტის რეგლამენტით მინიჭებული კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებში, მათ შორის: კითხვის დასმისა და ინტერპელაციის,<sup>3</sup> კომიტეტის სხდომაზე სამსახურის უფროსის სავალდებულო დასწრების,<sup>4</sup> პარლამენტის სხდომაზე სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის,<sup>5</sup> საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფისა და სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მიერ კონტროლის განხორციელებაში.<sup>6</sup>

### 2.1. პარლამენტის წევრის კითხვა

საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყების ინდივიდუალურად კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია წერილობითი კითხვა. საქართველოს მთავრობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანო, მთავრობის წევრი, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანო და სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია პარლამენტის წევრის კითხვაზე დროულად და სრულად უპასუხოს.<sup>7</sup>

2022 წლიდან პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი აანალიზებს და პარლამენტის ბიუროს წარუდგენს ინფორმაციას პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირებასთან დაკავშირებით. თუმცა, პარლამენტის წევრის კითხვაზე გაცემული პასუხის *შინაარსობრივი სისრულის შემოწმება* საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ვალდებულება არ არის, რაც მექანიზმის ეფექტიანობას ამცირებს.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2024 წელს გაგზავნილ კითხვებთან დაკავშირებით, ორი დოკუმენტი მოამზადა.<sup>8</sup> ანგარიშებში, დეპუტატების მიერ გაგზავნილი კითხვები სამ ჯგუფადაა დაყოფილი (1. საქართველოს მთავრობა/ საქართველოს პრემიერ-მინისტრი/ სამინისტრო/ მინისტრი/ სსიპ; 2. მუნიციპალიტეტები; 3. სხვა დაწესებულებები). ჩამონათვალში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცალკე ნახსენები არ არის.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, მუხლი 9.

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 43, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 148 – 149.

<sup>4</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 40, პუნქტი 3.

<sup>5</sup> იქვე, მუხლი 88, პუნქტი 2, მუხლი 171; საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 2.

<sup>6</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 156.

<sup>7</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 148.

<sup>8</sup> parliament.ge, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინფორმაცია პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/40ihdds>; ასევე, <https://bit.ly/40ndj2M>.



## 2.2. ინტერპელაცია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს.<sup>9</sup> ადრესატი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირადად პასუხობს კითხვებს. ერთი შეხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის შესამოწმებლად, ეს მექანიზმი მნიშვნელოვან საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

## 2.3. თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება

პარლამენტი კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პლენარულ სხდომაზე იწვევს, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს. ანგარიშვალდებული პირები, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ პლენარულ სხდომაზე, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.<sup>10</sup>

## 2.4. თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება

რეგლამენტის მიხედვით, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან, კომიტეტის სხდომას დაესწრონ კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან მიმართებით, რეგლამენტი განსხვავებულ წესს ადგენს: სამსახურის უფროსი ვალდებულია კომიტეტის სხდომას დაესწროს **კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნით**, რომელიც უნდა შეიცავდეს კომიტეტის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას.

2022 წელს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა არ გაითვალისწინა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინიციატივა, სამსახურის უფროსის კომიტეტის სხდომაზე დაბარების განსხვავებული წესის გაუქმებასთან დაკავშირებით. არსებული ჩანაწერი ანგარიშვალდებული პირის კომიტეტის სხდომაზე დასწრება მოთხოვნას შეუძლებლად აქცევს, თუ საპარლამენტო უმრავლესობას არ აქვს სამსახურის უფროსის სხდომაზე დაბარების პოლიტიკური ინტერესი.

<sup>9</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 149.

<sup>10</sup> იქვე. მუხლი 152.1.

## 2.5. დროებითი საგამოძიებო კომისიები

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ პარლამენტის დადგენილების პროექტის ინიცირების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს. პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით,<sup>11</sup> რაც თეორიულად, საპარლამენტო ოპოზიციას დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობას აძლევს.

დროებით საგამოძიებო კომისიას ფართო უფლებამოსილება გააჩნია. მის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა. დროებით საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარემოების გამო მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მას წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას. ამასთან, კომისიას უფლება აქვს, ადგილზე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს და მიიღოს შესაბამისი საქმის მასალების ასლები, აგრეთვე, გაეცნოს გამოძიების არდაწყების შესახებ არსებულ მასალებს.<sup>12</sup> შესაბამისად, დროებითი საგამოძიებო კომისია, ოპოზიციისთვის კონტროლის განხორციელების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

## 2.6. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენება, წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს,<sup>13</sup> მათ შორის, სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენებას საქართველოს პარლამენტის მიერ. კერძოდ, სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება აქვს დასვას სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი, თუ ანგარიშის მოსმენისას გამოიკვეთა ასეთი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.<sup>14</sup> ამ შემთხვევაში ინიციატორებმა ზემოაღნიშნული საკითხის დასმის მიზეზები/საფუძვლები უნდა მიუთითონ. საქართველოს პარლამენტი სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>15</sup>

<sup>11</sup> იქვე. მუხლი 62.

<sup>12</sup> იქვე. მუხლი 67.

<sup>13</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, მუხლი 10.

<sup>14</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 183.

<sup>15</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, მუხლი 10. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 183.1.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ხელში დატოვება მმართველ პოლიტიკურ ძალას აძლევს ბერკეტს, აკონტროლოს როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ისე, მთლიანად სამსახურის საქმიანობა. მეორეც, რეგლამენტის აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათისაა, არ ითვალისწინებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების კონკრეტულ საფუძვლებს და შესაძლებლობას აძლევს საპარლამენტო უმრავლესობას მიიღოს მიკერძოებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

## 3. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე პრაქტიკულად განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი

### 3.1. პოლიტიკური კონტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში კონტროლის არაერთი მექანიზმია გაწერილი, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან მიმართებით პარლამენტის წევრებმა მხოლოდ წერილობითი კითხვის მექანიზმი გამოიყენეს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას საანგარიშო პერიოდში შექმნილი უკიდურესად მძიმე პოლიტიკური კონტექსტით, რამაც საკანონმდებლო ორგანოს ნორმალური ფუნქციონირება შეაფერხა. 2024 წლის გაზაფხულზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განმეორებით ინიცირებამ, ისედაც დაძაბული პოლიტიკური გარემო უკიდურესად პოლარიზებული გახადა. კანონპროექტის უკან გაწვევის მოთხოვნით დაწყებულ ფართომასშტაბიან აქციებს საპარლამენტო ოპოზიციაც შეუერთდა. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა პარლამენტის შენობაში ფიზიკური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მშვიდობიანი შეკრება შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენჯერმე დაშალა არაპროპორციული ფიზიკური ძალის და სპეციალური საშუალებების გამოყენებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებით, არც ერთ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცველებმა აქციის დასაშლელად ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს, აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტს უსაფრთხოების სამსახურების (მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის) ქმედებების კანონიერების შესამოწმებლად საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები არ გამოუყენებია.


## 3.2. საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმები და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

სუს-ზე საპარლამენტო კონტროლის სისუსტე სიახლეს არ წარმოადგენს. უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებიდან ყველაზე ნაკლები კონტროლი სწორედ ამ სამსახურზე ხორციელდება.<sup>16</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან მიმართებით, არც ერთხელ არ გამოყენებულა ინტერპელაციის, კომიტეტისა და პლენარულ სხდომაზე დაბარების მექანიზმები.

### 3.2.1. წერილობითი კითხვა

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან, ყველაზე ნაკლები კონტროლი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ხორციელდება, 2024 წლამდე სამსახურისთვის გაგზავნილ კითხვათა რაოდენობა მზარდი იყო.<sup>17</sup> თუმცა, 2024 წელს კითხვების რაოდენობა უკიდურესად შემცირდა. 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 27 ივლისის ჩათვლით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მხოლოდ ორი წერილობითი კითხვა გაუგზავნეს. შედარებისთვის, 2023 წლის 1-ელი იანვრიდან 2023 წლის 27 ივლისამდე, დეპუტატებს სამსახურისთვის 9 წერილობითი კითხვა ჰქონდათ გაგზავნილი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი კითხვები



მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს გაგზავნილ კითხვებში დასმული (საზღვრის კვეტასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებთან, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული) საკითხები დღესაც აქტუალურია, მიმდინარე წელს პარლამენტის წევრებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის ამ საკითხებზე აღარ მიმართავთ. სავარაუდოდ, 2023 წელს სამსახურის მიერ გაცემულმა ფორმალურმა პასუხებმა დეპუტატებისთვის განმეორებითი შეკითხვით მიმართვას აზრი დაუკარგა. თუმცა, საჯარო უწყებების ზოგადი პასუხები არ უნდა იქცეს საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძვლად.

<sup>16</sup> DRI, „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები“, 28.02.2023, ხელმისაწვდომია: <https://www.democracypolicy.org/geo/1132/>

<sup>17</sup> DRI, „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი არაეფექტიანია“, 29.02.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.democracypolicy.org/geo/1404/>

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი ორივე წერილობითი კითხვა პარლამენტის ოპოზიციონერ წევრს თეონა აქუბარდიას ეკუთვნის. პარლამენტის წევრი უწყებისგან ითხოვდა 2024 წელს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზიდან გატაცებული და გათავისუფლებული ადამიანების რაოდენობას (თარიღის მითითებით).<sup>18</sup> სამსახურმა დეპუტატს დაკავებული და გათავისუფლებული პირების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, თუმცა შესაბამისი თარიღების მითითების გარეშე.<sup>19</sup> მეორე კითხვა ორგანიზაცია „რუსული კლუბის“ მიერ ორგანიზებული სემინარის ჩატარებასა და რუსეთის მოქალაქე ტრენერების მიერ ოკუპაციის შესახებ კანონის დაცვის საკითხს შეეხებოდა.<sup>20</sup> კითხვაზე მიღებული დოკუმენტი შაბლონურია და არ იძლევა პასუხს დეპუტატის მიერ დასმულ კითხვაზე. კერძოდ, წერილის მიხედვით, უცხოელის საქართველოში შემოსვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო. თუმცა, ამავდროულად, სუს-ი უთითებს, რომ „ქვეყანაში იმ პირთა შემოსვლის საკითხი, ვისაც შესაძლოა დარღვეული ჰქონდეს „საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ“ აქტიურად კონტროლდება“.<sup>21</sup>

2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, მხოლოდ ერთი დეპუტატის მიერ გაგზავნილი ორი წერილობითი კითხვა ხაზს უსვამს სუს-ის დემოკრატიული ზედამხედველობის მიღმა მდგომ უწყებად ჩამოყალიბების ტენდენციას. სამსახურის კონტროლის პოლიტიკური ნების არარსებობის და საპარლამენტო მუშაობის ფაქტობრივი პარალიზების ფონზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დემოკრატიული კონტროლი, საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად, არ განხორციელებულა.

### 3.2.2. კონტროლის სხვა მექანიზმები

2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი არც ერთხელ არ დაუბარებიათ პარლამენტის პლენარულ ან/და კომიტეტის სხდომაზე და არც ერთხელ არ მიუმართავთ ინტერპელაციის წესით.

### 3.2.3. ნდობის ჯგუფი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, ნდობის ჯგუფი 5 წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა, ორი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის/ფრაქციების წევრი, ხოლო ორი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წევრი.<sup>22</sup>

<sup>18</sup> პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა, N 3861/3-2/24, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33597>

<sup>19</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხი, SSG 9 24 00123325, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33624>

<sup>20</sup> პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა, N 4878/3-2/24, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33702>

<sup>21</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხი, SSG 2 24 00166709, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/33744>

<sup>22</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 157.2



მეათე მოწვევის პარლამენტში ნდობის ჯგუფი ნაცვლად ხუთისა, ოთხი წევრისგან შედგება. საპარლამენტო ოპოზიციის განცხადებით, პარლამენტში არსებული მხოლოდ ერთი ოპოზიციური ფრაქციის პირობებში („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), მმართველმა პარტიამ საპარლამენტო ოპოზიციას ნდობის ჯგუფის მეხუთე წევრის წარდგენის შესაძლებლობა პროცედურული დაბრკოლებების გზით წაართვა.

2023 წლის 27 ნოემბერს ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიამ ევროკომისიის მხრიდან განსაზღვრული 9 პრიორიტეტის შესრულების გეგმა დაამტკიცა.<sup>23</sup> გეგმის მიხედვით, უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად, ხელისუფლებამ 2024 წლის თებერვლისთვის ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტების და მე-5 წევრის დანიშვნის ვალდებულება აიღო.

2024 წლის 18 აპრილს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წერილის<sup>24</sup> პასუხად, პარლამენტმა გვიპასუხა: „ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ ცხრა ნაბიჯთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 16 თებერვალს საქართველოს პარლამენტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობის, ოპოზიციისა და მესამე სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, შეთანხმდნენ, რომ საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფებს მიენიჭებოდათ უფლებამოსილება, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტების მიზნით წარმოედგინათ ნდობის ჯგუფის წევრი, საპარლამენტო ოპოზიციის კოალიტო. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, საპარლამენტო ოპოზიციამ თავად შეარჩია ნდობის ჯგუფის წევრის კანდიდატურა.“<sup>25</sup>

თუმცა, პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფებს ისედაც ჰქონდათ ნდობის ჯგუფის მე-5 წევრის პარლამენტისთვის წარდგენის უფლება, ვინაიდან მე-10 მოწვევის პარლამენტში შექმნილი პოლიტიკური ჯგუფები ფრაქციის უფლებებით სარგებლობენ.<sup>26</sup>

საპარლამენტო ოპოზიციამ, ნდობის ჯგუფის წევრად საპარლამენტო ოპოზიციის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თეონა აქუბარდია წარადგინა. 2024 წლის 31 აგვისტოს ინფორმაციით, დეპუტატს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან I კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დამკვეთის მისაღებად თანხმობა არ ჰქონდა.<sup>27</sup> თეონა აქუბარდიამ სამსახურისგან თანხმობა საიდუმლო ინფორმაციის დამკვეთზე მხოლოდ 2024 წლის 4 ოქტომბერს მიიღო. დეპუტატის შეფასებით, სუს-მა დრო განზრახ გააჭიანურა, რათა საპარლამენტო ოპოზიციისთვის ნდობის ჯგუფის საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა არ მიეცა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი პარლამენტის არჩევნების დღის შემდეგ წინა მოწვევის პარლამენტის მორიგი სესიები არ იმართება, ხოლო საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარდა, დეპუტატის ეჭვი დასაბუთებული ჩანს.

<sup>23</sup> საქართველოს მთავრობა, ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებები, ხელმისაწვდომია: [https://www.gov.ge/files/288\\_86884\\_123528\\_ActionPlanforEUs9steps.pdf](https://www.gov.ge/files/288_86884_123528_ActionPlanforEUs9steps.pdf)

<sup>24</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წერილი, N DRI/2024/21

<sup>25</sup> საქართველოს პარლამენტის წერილი, 3263/2-7/24, 18-04-2024.

<sup>26</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 228<sup>1</sup>.3.

<sup>27</sup> იქვე, მუხლი 157.5.



2024 წლის 5 აპრილს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის (და შესაბამისად ნდობის ჯგუფის) მაშინდელი თავმჯდომარე ირაკლი ბერაია საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსად დანიშნა, ნდობის ჯგუფის წევრთა რაოდენობა სამამდე შემცირდა.<sup>28</sup> 2024 წლის 17 აპრილს პარლამენტმა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ ალექსანდრე ტაბატაძე აირჩია.<sup>29</sup>

ნდობის ჯგუფის სხდომაზე გადაწყვეტილება ნდობის ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით მიიღება,<sup>30</sup> **შესაბამისად, მინიმუმ 3 წევრის თანხმობით**. ნდობის ჯგუფის წევრთა შემცირებამ, საიდანაც ორი უმრავლესობის, ხოლო ერთი ოპოზიციის წევრია,<sup>31</sup> ჯგუფის მუშაობა ჩიხში შეიყვანა. თუმცა, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობას არც თავისი წარმომადგენლის დანიშვნა უჩქარია. პარლამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის სრულად დასაკომპლექტებლად, 2024 წლის 22 აგვისტოს მდგომარეობით, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის კვოტებით წარსადგენ 2 წევრთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „შესაბამისი პროცედურები“ მიმდინარეობდა.<sup>32</sup>

საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის შეხვედრა 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით 4-ჯერ გაიმართა. საქართველოს პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, ყველა შეხვედრა მარტში ჩატარდა.<sup>33</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი აღნიშნული სხდომებიდან მხოლოდ ერთ სხდომას ესწრებოდა. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ნდობის ჯგუფის სხდომაზე, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი დაესწრო, სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში განიხილეს.<sup>34</sup> სხდომას უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან ერთად სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე და უწყების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შედარებისთვის, 2023 წელს ნდობის ჯგუფმა 11 შეხვედრა გამართა.<sup>35</sup>

შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობამ არ შეასრულა ხელისუფლების ისედაც ხარვეზიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გასაუმჯობესებელ *ერთადერთ ღონისძიებად* ნდობის ჯგუფის სრულად დაკომპლექტებას ითვალისწინებდა. მე-10 მოწვევის პარლამენტმა მუშაობა ნდობის ჯგუფის კიდევ უფრო შემცირებული შემადგენლობით დაამთავრა.

<sup>28</sup> ნდობის ჯგუფის შემადგენლობა (2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით)

ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/supervision/security-defense-sector/trust-groups>

<sup>29</sup> პარლამენტმა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ ალექსანდრე ტაბატაძე აირჩია, 17.04.2024. ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/media/news/parlamentma-tavdatvisi-da-ushishroebis-komitetis-tavmjdomared-aleksandre-tabatadze-airchia>

<sup>30</sup> იქვე. მუხლი 158.1.

<sup>31</sup> სამი წევრიდან ერთ-ერთი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი“ თეიმურაზ ჯანაშიაა.

<sup>32</sup> საქართველოს პარლამენტის წერილი, 22.08.2024, N 5571/2-7/24.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> პარლამენტის ნდობის ჯგუფში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს მოუსმინეს, 29.03.2023. ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge/media/news/parlamentis-ndobis-igufshi-sakhelmtsi-fo-usaftrtkhoebis-samsakhuris-ufross-mousmines>

<sup>35</sup> DRI, „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები“, 2024, გვ.24. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/v7o4e>



## 4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება

2024 წლის 15 აპრილს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს პარლამენტს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის წარდგენა და პარლამენტში მისი განხილვის პროცესი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის კონტროლის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. კანონმდებლობის მიხედვით, განხილვის შემდეგ, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში კვლავ შაბლონური და უკიდურესად ზოგადია. სამწუხაროდ, მისი შინაარსი, ვერ გვიქმნის რეალურ წარმოდგენას სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს კი ვერ აწვდის იმ მოცულობის ინფორმაციას, რაც მას სუს-ზე დემოკრატიული საპარლამენტო კონტროლის შესაძლებლობისთვის სჭირდება. ანგარიში წლიდან წლამდე შაბლონურად იმეორებს რამდენიმე თემას, რომელთა მიმოხილვა მხოლოდ საანგარიშო წლის სტატისტიკური მონაცემებით განსხვავდება წინა წლების ანალოგიური მასალისგან. გლობალური გამოწვევების გამო, უსაფრთხოებისთვის მომეტებული რისკი შეიძლება მომდინარეობდეს ისეთი საკითხებისგან, როგორცაა: საკვების უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, პანდემიები, ეკოლოგიური კატასტროფები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების კონტექსტში ამ საკითხებზე მსჯელობა და ანალიზი თანამედროვე სამყაროში სულ უფრო აქტუალური ხდება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები კვლავ შაბლონურად ერთი და იმავე საკითხებს უტრიალებს.

2023 წლის წლიური ანგარიში რამდენიმე თავისგან შედგება. წინა წლების მსგავსად, დოკუმენტში ქვეყნისთვის მომდინარე საფრთხეებზე ვრცლად არის საუბარი, თუმცა, იმის ნაცვლად, რომ შეძლებისდაგვარად ამომწურავად იყოს ინფორმაცია - კონკრეტულად რაში გამოიხატება საფრთხე და საიდან მომდინარეობს, რა ქმედებები განახორციელა სამსახურმა მათზე რეაგირებისთვის და რამდენად ეფექტიანი იყო გატარებული ღონისძიებები, ანგარიში შემოიფარგლება ისეთი უკიდურესად ზოგადი ფრაზებით, როგორებიცაა: „გატარდა სათანადო ღონისძიებები“/„კომპლექსური ღონისძიებები“, „მომდინარეობდა ოპერატიულად საყურადღებო პირთა შესაბამისი მონიტორინგი“, „მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა შესაბამის ოპერატიულ ღონისძიებებს“, „გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები“ და ა.შ.

2023 წლის საქმიანობის ანგარიში ფაქტობრივად იმეორებს 2022 წლის ანგარიშის მთავარ საკითხებს. ანგარიშში უსაფრთხოების ძირითად პრობლემებს შორის კვლავ რუსული ოკუპაცია და ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზები დასახელებული. თუმცა, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე საუბარია მხოლოდ ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებს უკავშირდება. ანგარიშის სხვა ნაწილებში, სადაც საუბარია დეზინფორ-

მაციაზე, ჰიბრიდულ ომზე, ე.წ. რბილ ძალაზე და კიბერუსაფრთხოებაზე, რუსეთის ფედერაცია საფრთხის წყაროდ არ არის მოხსენიებული. ამ შემთხვევებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იყენებს ზოგად ტერმინს „უცხო ქვეყანა“. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იგულისხმებიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ არის დაკონკრეტებული. მაგალითად, ანგარიშში მითითებულია, რომ „ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში იურიდიული პირების დაფუძნების შემთხვევები და მიღებულ იქნა ზომები, სანქციების-თვის თავის არიდების პროცესში, ქართული კომპანიების შესაძლო ჩართვის აღსაკ-ვეთად.“<sup>36</sup>

ანგარიშის მიხედვით, „ადგილი ჰქონდა სხვადასხვა გარე და შიდა აქტორების მიერ საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავების, ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილებისთვის ნიადაგის მომზადებისა და რესურსების მობილიზების მცდელობებს.“<sup>37</sup> თუმცა, კონკრეტული ინფორმაცია ანგარიშში მოცემული არ არის.

საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, წინა წლების ანგარიშებში ყველაზე ინფორმაციული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეთავი იყო. თუმცა, 2023 წლის ანგარიშში ეს ქვეთავი ბევრად უფრო ზოგადი, არაინფორმატიული და შაბლონურია. წლიური ანგარიში მცირედ წარმოდგენასაც არ გვიქმნის უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია, კონტროლის შინაარსობრივი ნაწილი კი ბუნდოვანია.

წლების განმავლობაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, რაც სუს-ის ანგარიშის წარდგენის შემდეგ დეპუტატების კითხვა-პასუხის დახურულ ფორმატში გაგრძელებას ითვალისწინებდა, საანგარიშო პერიოდშიც განმეორდა. საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციის წევრები, ანგარიშის წარდგენასა და კითხვა-პასუხის რეჟიმს შაბლონურ და არაინფორმატიულ პროცესად აფასებენ. მათთვის გაუგებარია ისიც, რატომ იღებს პარლამენტი კითხვა-პასუხის რეჟიმის დახურულ ფორმატში გაგრძელების გადაწყვეტილებას, თუ კითხვებზე პასუხი უკიდურესად ზოგადია და დეპუტატები ვერ იღებენ მათთვის საჭირო სენსიტიური ხასიათის კითხვებზე ამომწურავ ინფორმაციას.

სუს-ის ანგარიშის ანალიზი კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ უწყების რესურსი არარაციონალურად იხარჯება და მისი ინტერესი მიპყრობილი არაა რეალური საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

<sup>36</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2023 წელი, გვ. 22.

<sup>37</sup> იქვე, გვერდი 25.

## 4.1. ოკუპირებული ტერიტორიები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ზოგადი მდგომარეობის და პრობლემატიკის აღწერით იწყება.<sup>38</sup> ანგარიშის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ პრობლემად რჩება ბორდერიზაცია, უკანონო დაკავებები, უკანონო სამხედრო წვრთნები, საოკუპაციო ძალების პირადი შემადგენლობის როტაცია, და როგორც მათი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული მოხალისეების რუსეთ-უკრაინის ომში გამოყენება.

*ანგარიშში არ არის ნახსენები გადაიდგა თუ არა სუს-ის მიერ გარკვეული ნაბიჯები ამ პროცესების შესაჩერებლად. ანგარიში ასევე არ აკონკრეტებს, კონკრეტულად რომელ არეალში გრძელდებოდა ბორდერიზაცია 2023 წელს და რა მასშტაბის ტერიტორია მოექცა ბორდერიზაციის ამ ტალღის შედეგად ოკუპანტი რეჟიმის კონტროლის ქვეშ.*

ანექსიისკენ მიმართულ პროცესადაა შეფასებული ბიჭვინთის ყოფილი სახელმწიფო აგარაკის (და 180 ჰექტარი ტერიტორია, რომელიც აგარაკს აკრავს გარს) რუსეთისთვის გადაცემა. ანგარიშის მიხედვით, აგარაკის გადაცემას რუსეთის ფედერაცია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რათა მოეხდინა დემონსტრირება, რომ მისი ინტერესების წინააღმდეგ ნებისმიერი პროტესტი უშედეგოა. აგარაკის გადაცემის საწინააღმდეგო პროტესტს რუსეთის საოკუპაციო ძალა მუდმივად უკავშირებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს და ამგვარად ცდილობდა საპროტესტო მუხტის შემცირებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ასევე კრიტიკულად აფასებს ოჩამჩირის რაიონში რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტის შექმნას, რაც სამსახურის შეფასებით, რუსეთს დამატებით ბერკეტს მისცემს შავი ზღვის სამხედრო-სტრატეგიული კონტროლისთვის. თუმცა, პორტის აკვატორიის სიმცირისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვარაუდობს, რომ რუსეთის ფლოტის მსხვილგაბარიტიანი საბრძოლო ხომალდების განთავსება ოჩამჩირეში ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება, მით უმეტეს, რომ 2023 წელს იქ აქტიური ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ ჩატარებულა.

ანექსიის პროცესის ელემენტებად არის განხილული სოხუმის აეროპორტის რეაბილიტაცია და ე.წ. „აპარტამენტების“ აშენების და „უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის“ მფლობელობაში გადაცემის გადაწყვეტილებებიც. რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმება, რაც აფხაზეთისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებულად მიღებას გულისხმობს, ასევე, ფსოუს საზღვრის მონაკვეთზე მიმოსვლის პროცედურების გამარტივება და ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესიც, ასევე ანექსიის ინსტრუმენტებად არის მიჩნეული.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 6.

სუს-ის ანგარიშში არ ჩანს, აქვს თუ არა უწყებას რამე გეგმა - წინააღმდეგობა გაუწიოს ანექსირების ფაქტებს. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ საჯარო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიტიკურ მიმოხილვას წარმოადგენს და ვერანაირ წარმოდგენას ვერ გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა მოქმედებებს ატარებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო ანექსიასთან გასამკლავებლად.

2023 წელს გრძელდებოდა რუსიფიკაციის პროცესი საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც აფხაზეთის, ასევე, სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ანგარიშის თანახმად, აშკარაა, რომ მიმდინარეობს საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის გაუცხოების მიზანმიმართული სამუშაო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ანგარიშში არაფერია ნათქვამი, რა კონტრ ნაბიჯებით ეწინააღმდეგება სუს-ი საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები ადამიანების გაუცხოების პროცესს, თანამშრომლობს თუ არა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან და აქვს თუ არა სტრატეგია ამ პროცესის შესაჩერებლად ან ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად.

ანგარიშში ცალკეა გამოყოფილი საქართველოს მოქალაქეების: თამაზ გინტურის და ვიტალი (თემურ) კარბაიას მკვლელობის საქმეები. აღნიშნულია, რომ თამაზ გინტურის მკვლელობის შემთხვევასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ მკვლელობაში დამნაშავე პირების მიმართ „სამართლის აღსრულება“ მოითხოვა, თუმცა საოკუპაციო ძალა არ აპირებს მათ დასჯას. ანგარიშში არ არის მითითებული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჰყავს თუ არა ამ დროისთვის ეს პირები იდენტიფიცირებული და ჩატარდა თუ არა რაიმე სამუშაო ამ მიმართულებით.

ანგარიშში ნახსენებია საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს 8 მოქალაქის უკანონო პატიმრობაში ყოფნის ფაქტიც. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ დაკავებებს ხელოვნური ჰუმანიტარული კრიზისის შექმნით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობად მიიჩნევს. აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ძალისხმევით შედეგად 2023 წელს პატიმრობიდან საქართველოს 2 მოქალაქე გაათავისუფლეს. თუმცა, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ ფერხდება სხვა დაკავებულების გაათავისუფლების პროცესი, რა ძირითადი დაბრკოლებები არსებობს ამ მიმართულებით და აქვს თუ არა უწყებას გეგმა ამ დაბრკოლებების გადასალახად ან ახალი მიდგომების შესაშუშავებლად.

ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის განგრძობადი შევიწროების შესახებ ინფორმაციასაც მოიცავს. ეს გამოიხატა როგორც ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გამშვებ პუნქტების პერიოდული ჩაკეტივით, ასევე, მათთვის მშობლიური ენაზე სწავლების აკრძალვით და ქონებრივი უფლებების შეზღუდვით. ამ შემთხვევაშიც, ანგარიშში ვერ ვხედავთ კონკრეტიკას, რამდენი ადამიანი დაზარალდა საოკუპაციო რეჟიმის მიერ ქონებრივი უფლებების შეზღუდვით, გათვალისწინებულია თუ არა სახელმწიფოს მიერ ამ ადამიანებისთვის უფლების დარღვევის გამო შესაბამისი კომპენსაცია და სხვა.

2023 წელს გრძელდებოდა რუსეთის ფედერაციის და საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან ქენევის მოლაპარაკებების პროცესის საბოტაჟის მცდელობები. ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით სამსჯელოდ წამოეწიათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, დისკრიმინაცია, უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაცია. ასევე ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, ევროპის საბჭოს, გაეროს და სხვა საერთაშორისო პარტნიორების წარმომადგენლობებთან; მათთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა ჰუმანიტარულ სამუშაოებს და მუდმივად ცდილობდა საერთაშორისო პარტნიორებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია განგრძობადი ოკუპაციის და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ. *ანგარიშის ეს ნაწილიც საკმაოდ ზოგადია და ვერ გვაწვდის ინფორმაციას, რა კონკრეტული შედეგები იქნა მიღწეული საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში; არის თუ არა ამ პროცესში ხარვეზები და რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება მათ გამოსასწორებლად.*

## 4.2. სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრაგვერვითი საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის თანახმად, რუსეთ-უკრაინის ომის და რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ფონზე, ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ძალადობრივი გზით შესაცვლელად ნიადაგის მომზადების მცდელობებს. ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიების ფარგლებში გამოავლინა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა ჯგუფი, რომელიც 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამოქალაქო არეულობას, დესტაბილიზაციას და ხელისუფლების ძალადობრივად შეცვლას გეგმავდა.<sup>39</sup> *ანგარიში ღუძს იმასთან დაკავშირებით, რატომ არ გატარდა „პირთა ჯგუფის“ წევრების მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებები, იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშის მიხედვით, სამსახურმა შეძლო ჯგუფის „გამოვლენა“; რატომ არ მოხდა მათი დაკავება ან/და რატომ არ წარედგინა სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები.*

ანგარიშის თანახმად, გეგმა უნდა ამოქმედებულიყო უცხო ქვეყნების კოორდინირებითა და ფინანსური მხარდაჭერით, უკრაინაში მებრძოლი ქართველი მებრძოლებისა და დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომელთა წვრთნა-მომზადება მიმდინარეობდა უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე. ანგარიშის ეს ნაწილი სრულიად იმეორებს საქართველოს ხელისუფლების მიერ ე.წ. „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირების არგუმენტაციას. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დღემდე არ წარმოუდგენია არც ერთი დამაჯერებელი

<sup>39</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2023 წელი, გვ. 17.



მტკიცებულება აღნიშნული „ჯგუფის“ მიერ ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩასანაცვლებლად მოქმედების ან ასეთი გეგმის მომზადების დასადასტურებლად.

ანგარიშში მითითებულია, რომ უსაფრთხოების სამსახურმა გაატარა ღონისძიებები რისკების გასანეიტრალებლად. *თუმცა ანგარიში დუმს, რა ფორმით მოხერხდა რისკების განეიტრალება; განეიტრალება გულისხმობს, რომ ეს ჯგუფები დღეს ვეღარ ახერხებენ საქმიანობას? რატომ ვერ ხერხდება ამ ჯგუფის წევრებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება? რატომ ვერ მოახერხა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ამ დრომდე გამოძიების დასრულება და დამნაშავეების სასამართლოს წინაშე წარდგენა? ამ კითხვებზე პასუხების გაცემამდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის ამ ნაწილს დამაჯერებლობა აკლია.*

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესებში შედიოდა საქართველოს ძალოვანი უწყებების საქმიანობის, საზოგადოებრივი განწყობების, პოლიტიკური პარტიების რეიტინგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ინტერესებში მოექცა საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის პოტენციალის შესწავლა და სხვადასხვა ბიზნესპროექტებით საქართველოზე ეკონომიკური გავლენის ბერკეტების მოპოვების მცდელობა. ანგარიშის თანახმად, აღნიშნული რისკის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზს, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში არსებული ან დაგეგმილი ეკონომიკური პროექტების ფარგლებში არსებული რისკების გამოვლენას და გასცემდა შესაბამის რეკომენდაციებს. *ანგარიშის ეს ნაწილიც, რომელიც არ იძლევა ინფორმაციას გაანალიზებული ხელშეკრულებების და გაცემული რეკომენდაციების შინაარსის და მათი რაოდენობის, ასევე, ამ რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებლის შესახებ, ზოგადია და არ იძლევა სუს-ის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.*

ერთადერთი კონკრეტული, რომელიც ანგარიშის ამ თავში გვხვდება, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული გამოძიებების რაოდენობაა. კერძოდ, 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ 14 საქმეზე დაიწყო გამოძიება; სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა კი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე. *თუმცა, ანგარიშში არააფრია ნათქვამი გამოძიების კონკრეტულ შედეგებზე: დასრულდა თუ არა გამოძიება; დააკავეს თუ არა ბრალდებულები; მიღებული იქნა თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილება ან დადგა თუ არა სხვა კონკრეტული შედეგი საქმეზე.*

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ერთ-ერთ გამოწვევად დასახელებულია მზარდი მიგრაციული ნაკადები. ანგარიშის თანახმად, მიგრაციული ნაკადების მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბების მცდელობები, ასევე, მათ მიერ დეზინფორმაციული და უცხო ქვეყნის ინტერესების

სასარგებლო პროპაგანდისტული სამუშაოები. როგორც ანგარიშშია მოცემული, მათი საქმიანობის პრევენციისთვის ზომები იქნა მიღებული. თუმცა ამ შემთხვევაშიც არაა დაკონკრეტებული სამართლებრივი რეაგირების შედეგების შესახებ, კერძოდ, რამდენი მსგავსი მცდელობა აღიკვეთა უსაფრთხოების სამსახურის მიერ, რამდენი ადამიანი მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, რამდენი მათგანი იქნა დაკავებული, რა სახის პროპაგანდისტულ სამუშაოებს ატარებდნენ ეს პირები. საზოგადოების ინფორმირება პროპაგანდისტული სამუშაოების ფორმებისა და ნარატივების შესახებ, საზოგადოებრივ ჯგუფებს დეზინფორმაციასთან გამკლავებაში დაეხმარებოდა.

ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეთმობა დეზინფორმაციასა და ჰიბრიდული ომის საფრთხეებს. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, 2023 წელს დეზინფორმაციული კამპანიის მთავარ მიზანს ანტიდასავლური განწყობილებების გაღვივება, პოლარიზაციის გაღრმავება და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაპირისპირების პროვოცირება წარმოადგენდა. სამსახურის ინფორმაციით, ფარული ოპერაციებისთვის ცალკეული ქვეყნები იყენებდნენ პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ფონდებს და კერძო სექტორის წარმომადგენელთა შესაძლებლობებს. ანგარიშის მიხედვით, ცალკეული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურები საკუთარ ან მესამე ქვეყანაში ჩატარებული კონფერენციების, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების მეშვეობით ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინათ კულტურული და საგანმანათლებლო წრეების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან და ექსპერტებთან.<sup>40</sup> ისინი ასევე ცდილობდნენ ნიადაგის მომზადებას მათ მიერ კონტროლირებადი ჯგუფების აქტიურ პოლიტიკაში ჩასართავად. ასეთი ზოგადი ხასიათის ინფორმაცია შესაძლებელია გულისხმობდეს რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ მყოფ ულტრამემარჯვენე ჯგუფებსაც, თუმცა იმ პირობებში, როდესაც ანგარიში არ აკონკრეტებს არც ჯგუფებს და არც სახელმწიფოს, რომელიც საქართველოში ამგვარი ჯგუფების კოორდინაციას ახდენს, ზოგადი მინიშნებები ფართო ინტერპრეტაციის სივრცეს ტოვებს. ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუ რომელ ქვეყნის შიგნით მოქმედ ჯგუფებს აღიქვამს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საფრთხედ სახელმწიფო უშიშროებისთვის ან/და რომელი ქვეყნ(ებ)ის მტრულ მოქმედებას ეწინააღმდეგება იგი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში.

ანგარიშში მცირე ქვეთავი ეთმობა კიბერუსაფრთხოებას. კერძოდ, ანგარიშის თანახმად, ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ რეაგირება მოახდინა მძიმე და საშუალო სირთულის 140 კიბერინციდენტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ. ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ განახორციელა სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ კიბერ თავდასხმები, გამოვლენილი არიან თუ არა ეს პირები/ქვეყნები, რა ღონისძიებები გატარდა მათ მიმართ ან დაეკისრათ თუ არა ამ პირებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

<sup>40</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2023 წელი, გვ. 25.

### 4.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, ანგარიშში თავდაპირველად მოცემულია საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული ვითარების მიმოხილვა. განხილულია „დაეშის“, „ალ-კაიდას“, „თალიბანის“, „ჰამასის“ ამჟამინდელი მოქმედებების გეოგრაფიული არეალი და მათი ძირითადი მოქმედებები საანგარიშო წლის პერიოდში. რაც შეეხება ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმს, სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიშის შეფასებით, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებმა ხელი შეუწყო დასავლეთში ულტრამემარჯვენე - ანტისემიტური და ისლამოფობიური მოძრაობების გაძლიერებას.

კონტრტერორისტული ძალისხმევის კუთხით გაწეული სამუშაოების შეფასებებისას, ანგარიშში ხაზგასმულია საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობა. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2023 წელს გამოავლინა „დაეშის“ მიერ აშშ-ს და ევროპის ქალაქებში ჩასატარებელი ტერორისტული აქტების გეგმები და მოიპოვა კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც შესაბამისი ქვეყნების სამსახურებს მიაწოდა. შესაბამისად, მოხერხდა დაგეგმილი თავდასხმის ობიექტების გამოვლენა, ასევე დაკავებულ იქნენ ის პირები, რომლებიც „დაეშის“ ლიდერის მითითებით მოქმედებდნენ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღნიშნავს, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშშიც დადებითად შეფასდა საქართველოს მხრიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. სუს-ი ასევე, დიდ მიღწევად აფასებს იმ ფაქტს, რომ 2023 წელს საქართველოში ტერორისტული შემთხვევები არ დაფიქსირებულა, რაც სამსახურის პოზიციით, მათ მიერ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო უსაფრთხოების დასაცავად გადადგმული ნაბიჯების შედეგია.

რაც შეეხება ტერორიზმის კუთხით საქართველოში არსებულ გამოწვევებს, ამ ჩამონათვალში შედის: საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მიერ შესაძლო თავდასხმები; ტერორისტული ორგანიზაციების წევრი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების საკითხი; უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მიერ საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ტრანზიტული მიზნით ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება; საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო დაფინანსება; ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოს მოქალაქეების შესაძლო გადაბირება. ანგარიშის თანახმად, ამ გამოწვევების წინააღმდეგ სამსახურმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. მაგალითად, ასაფეთქებელი ნივთიერების და კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვის ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს ორი და უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე. ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით პასუხისმგებლობაში დაუსწრებლად მიეცა სირიაში მებრძოლი საქართველოს სამი მოქალაქე, რომელთა მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და მათზე გამოცხადებულია ძებნა. საანგარიშო პერიოდში ტერორიზმთან დაკავშირებული სანქციების ეროვნულ სიაში შეყვანილ იქნა საქართველოს ორი მოქალაქე.

2023 წელს საქართველოს მთავრობამ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის სტანდარტების შესაბამისად მომზადებული - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში დაამტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩატარებული ანალიზისა და შეფასებების თანახმად, საქართველოში ტერორიზმის დაფინანსების რისკი დაბალია. 2023 წელს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების იდეების შესაძლო გამზიარებელ უცხო ქვეყნის მოქალაქე რამდენიმე ათეული პირის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პრევენციული ზომები გატარდა, რის შედეგადაც მათ ქვეყნის ტერიტორია დატოვეს. ანგარიში კონტრტერორისტული საქმიანობის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეების წარმოების სტატისტიკასაც მოიცავს. კერძოდ, 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო 13 საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ.

ტერორიზმთან დაკავშირებული თავი, ანგარიშის სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცავს და შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოებზე.

#### 4.4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი უწყება, საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით უნდა ხასიათდებოდეს და შესაბამისად, მაღალი საზოგადოებრივი ნდობით უნდა სარგებლობდეს. მეტი სანდოობისთვის აუცილებელია სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ღიაობა, რასაც სუს-ი, სამწუხაროდ, არ უზრუნველყოფს. ამის ნათელი მაგალითი სამსახურის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეთავში მოცემული მწირი ინფორმაციაა.

*კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილი შაბლონურია და განსაკუთრებით გამოირჩევა ზოგადი ფრაზებით. ძირითად ნაწილში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზეა საუბარი. ანგარიშის მიხედვით, სამსახურის „საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია წარმოადგენდა.“ თუმცა, ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, ანგარიში ვერ გვიქმნის კონკრეტულ წარმოდგენას, რა ღონისძიებები გაატარა სამსახურმა კორუფციული რისკების პრევენციისა და აღმოფხვრისთვის. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თავი ყველაზე მეტი კონკრეტიკით გამოირჩეოდა, 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში ეს ნაწილიც უკიდურესად ზოგადი და შემცირებულია.*

ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს ანტიკორუფციულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 47 საქმეზე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 72 პირი. აქვე, ზოგადად არის მითითებული ის დანაშაულები, რომლებიც გამოძიებისა და პასუხისგებაში მიცემის საფუძველი გახდა: ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სამ-

სახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ზეგავლენით ვაჭრობა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ სამსახური დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას აწარმოებს, ანგარიშში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი მუხლით, რამდენი საქმის გამოძიება დაიწყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში, რამდენი საქმე გადაიგზავნა ქვემდებარეობის წესით სხვა უწყებებში, რამდენ საქმეზე შეწყდა გამოძიება ან რამდენი საქმე გადმოიგზავნა სუს-ში გამოსაძიებლად. ამასთან, უცნობია, საანგარიშო პერიოდში სუს-მა გამოავლინა თუ არა მაღალი დონის კორუფციული დანაშაულები.

ბოლო სამი წლის განმავლობაში (2021, 2022, 2023 წლები), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყველაზე ნაკლები რაოდენობით გამოძიება, კორუფციული დანაშაულების მიმართულებით, 2023 წელს დაიწყო.

2022 წლის საქმიანობის ანგარიშისგან განსხვავებით, 2023 წლის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია ყადაღადადებული ქონების და მისი სავარაუდო ღირებულების შესახებ. ამასთან, უცნობია, დანაშაულებრივი გზით მითვისებული რა რაოდენობის ქონება დაუბრუნდა სახელმწიფოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თავში მოცემული მწირი და ზოგადი ინფორმაცია ვერ იქნება საზოგადოების და პარლამენტის მხრიდან დემოკრატიული კონტროლის განხორციელების წინაპირობა, რაც, თავის მხრივ, ანგარიშს მნიშვნელობას უკარგავს. მშრალი, ჯამურად მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია ვერ ქმნის სწორ აღქმას რეალურად რა გამოწვევების წინაშე დგას ამ მიმართულებით ქვეყანა. სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული სტატისტიკა მოიცავდეს მხოლოდ წვრილმან კორუფციულ დანაშაულებს და არ ეხებოდეს ე.წ. ელიტურ კორუფციას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სავარაუდოდ კორუფციული დანაშაულის გამოძიება სუს-ის კომპეტენციაში ექცევა, საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა სუს-ის მიერ მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოძიების შედეგები.

ანგარიშის თანახმად, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო სამოხელეო დანაშაულის პრევენციის, მათ შორის, კორუფციული ფაქტების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა-ადკვეთის მიმართულებით. თუმცა, კონკრეტულად რა დონისძიებები განხორციელდა სამოხელეო დანაშაულის პრევენციისთვის, რამდენი კორუფციული ფაქტი გამოვლინდა-ადიკვეთა ადრეულ ეტაპზე, ანგარიშში მითითებული არ არის. ანგარიშში ასევე არაა საუბარი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიების შესახებ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მთელი ძალისხმევის წვრილმანი კორუფციული დანაშაულების გამოძიებაზე დახარჯვა კი სამსახურის რესურსების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

## 4.5. სამართლებრივი ბაზის განვითარება

ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებსა და პროცედურებთან დასაბუნბობლად. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცვლილებები შეეხო ევროკავშირის საილუმლო ინფორმაციის დაცვას. ამასთან, აღნიშნულია, რომ სამსახური აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, *თუმცა, კონკრეტულად რა ცვლილებები შეეხო სამსახურის საქმიანობას ამ რეკომენდაციების შესრულებით, ნათქვამი არ არის. ანგარიშის მიხედვით, ჯგუფის მუშაობის შედეგად სამსახურმა განახორციელა „სათანადო დონისციებები“.*<sup>41</sup>

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში, განსაკუთრებით კი, ანტიკორუფციული მიმართულებით გასატარებელი რეფორმისა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის ქრილში, სამსახურის საქმიანობისა და ზედამხედველობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება უნდა შესულიყო. მისასალმებელი იქნებოდა, თუ თავად სუს-ი იქნებოდა ცვლილებების ინიციატორი, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით პროგრესი არ ყოფილა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, 2022 წელს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში (რომელიც ანგარიშვალდებულ უწყებაზე ზედამხედველობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად) სუს-ი არ ყოფილა ჩართული. 2023 წელს კი ახალი სამუშაო ჯგუფი ამ მიმართულებით არ შექმნილა. შესაბამისად, ანგარიშში ასახული ზოგადი ფრაზებით გაუგებარია, რა შესაბამისი დონისციებები გატარდა პარლამენტისა და სამსახურის თანამშრომლობით, ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად.

ანგარიშის ამ თავში ზოგადი სტატისტიკა ასევე მოცემული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით. დოკუმენტის მიხედვით, სამსახურს ექვსი ადმინისტრაციული საჩივარი წარედგინა. *თუმცა, რა ტიპის იყო ეს ადმინისტრაციული საჩივრები, როგორ დასრულდა მათი განხილვა, დაკმაყოფილდა მოთხოვნა თუ უარი ეთქვა მხარეს, გაგრძელდა თუ არა დავა სასამართლოში - უცნობია.*

ანგარიშის მიხედვით, სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 40 სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავა, ხოლო ერთ შემთხვევაში სუს-ი წარმომადგენელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოში. მეტი სიცხადისთვის, *აუცილებელია, კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაციის გამიჯვნა, საჩივრის ზოგადი შინაარსი, როგორ დასრულდა ესა თუ ის დავა - მაგალითად, რას ეხებოდა საკონსტიტუციო სარჩელი, რა პოზიცია ჰქონდა სუსს და როგორც დასრულდა/რა ეტაზუა საქმისწარმოება.*

<sup>41</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიში, 2023 წელი, გვ. 39.



## 4.6. ანგარიშვალდებულება

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი წლებია მუშაობს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით. სამწუხაროდ, უსაფრთხოების სექტორზე (განსაკუთრებით კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე) საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველობა განსაკუთრებული სისუსტით გამოირჩევა. გამოწვევა, ძირითადად, ორი მთავარი მიმართულებით არსებობს - მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობა და სამსახურის ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხი. ამ უკანასკნელის ნათელი მაგალითი თავად სუს-ის 2023 წლის საქმიანობის წლიური ანგარიშია.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ნდობის ჯგუფმა 11 სხდომა გამართა. პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა და მისმა მოადგილემ ნდობის ჯგუფის სხდომაში ორჯერ მიიღეს მონაწილეობა - 2023 წლის 6 აპრილს და 13 ოქტომბერს. ანგარიშის მიხედვით კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეებმა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა ნდობის ჯგუფის 5 შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, 6 აპრილს, როდესაც სამსახურმა წარადგინა ინფორმაცია საიდუმლო შესყიდვების შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს არ უპასუხა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების იმ ნაწილზე, რითაც ნდობის ჯგუფის შეხვედრების დღის წესრიგებს ვითხოვდით. ეს ინფორმაცია არც სუს-ის საქმიანობის ანგარიშშია ხელმისაწვდომი, რაც ნდობის ჯგუფის მიერ ეფექტიანი კონტროლის განხორციელებასა და ზოგადად სამსახურის ანგარიშვალდებულების ხარისხის შეფასებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ სამსახურმა მიიღო 17 სადეპუტატო კითხვა, რაზეც კანონმდებლობის შესაბამისად გაეცა პასუხი. ორგანიზაციის მიერ პარლამენტის ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით, სუს-ს 14 შეკითხვა გაეგზავნა; სამსახურმა ყველა შეკითხვას უპასუხა. ამ თვალსაზრისით, მთავარი გამოწვევა გაცემული პასუხების ზოგადი, ცალკეულ შემთხვევაში, კითხვის არსთან აცდენილი შინაარსია. სამწუხაროდ, ანგარიშის შაბლონური ხასიათი ამ ნაწილშიც კარგად ჩანს, სადაც მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციაა ასახული და არაფერია ნათქვამი გაცემული პასუხების შინაარსობრივ ნაწილზე.

## 5. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რესურსების არარაციონალური ხარჯვა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2015 წლის 1 აგვისტოს შეიქმნა. შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განცალკევებული სტრუქტურის შექმნით კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დადებული საარჩევნო დაპირება<sup>42</sup> არ შეასრულა. დაპირების მიუხედავად, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქცია მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციის მოძიებით და ანალიზით შემოიფარგლებოდა და მისი უფლებამოსილება არ იქნებოდა სისხლის-სამართლებრივი დევნა, 2015 წელს მიღებულმა კანონმა შსს-დან გამოყოფილ ახალ უწყებას დანაშაულების გამოვლენის, აღკვეთისა და გამოძიების უფლებამოსილება მაინც მიანიჭა. როგორც სამსახურის საქმიანობაზე მრავალწლიანი დაკვირვება ცხადყოფს, ამ უფლებამოსილებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შესაძლოა, სახელისუფლებო პარტიის პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდეს. სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყების პოლიტიკური მიზნით გამოყენება შესაძლებელი იმანაც გახადა, რომ 2015 წელს „ქართულმა ოცნებამ“ სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნაზე უარი განაცხადა.

შექმნიდან დღემდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მილიარდ ლარზე მეტი დაფინანსება მიიღო. ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება თითქმის 30 მილიონი ლარით გაიზარდა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სამსახურის დაფინანსება **2022 წელს 153 მილიონი ლარი იყო,**<sup>43</sup> **2023 წელს ეს თანხა 180 მილიონ ლარამდე გაიზარდა, 2024 წელს კი - 210 მილიონი ლარი შეადგინა.**

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტისთვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჯარო არ არის ასევე ზოგიერთი დეპარტამენტის დებულება.<sup>44</sup> ამასთან, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით, ბოლო სამი წლის განმავლობაში არ მომხდარა იმ თანამშრომლების რიცხოვნობის ზრდა, რომელთა რაოდენობა საჯაროა (3,800 თანამშრომელი). *სამსახურის ფუნქციები დროის აღნიშნულ პერიოდში არც იმ მასშტაბით გაზრდილა, რომ თანამშრომელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა ან/და სხვადასხვა მიმართულებით დაფინანსების გაზრდის აუცილებლობა გამოეწვია.*

<sup>42</sup> საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, „საარჩევნო პროგრამა, 2012, საპარლამენტო არჩევნები“, ქვეთავი „შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა“, გვ. 17-18, ხელმისაწვდომია: <http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf>

<sup>43</sup> matsne.gov.ge, საქართველოს კანონი საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, თავი VI, მუხლი 16. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6020661?publication=0>

<sup>44</sup> მაგ. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტისა და კონტრტერორისტული ცენტრის დებულებები საიდუმლოა.

შესაბამისად, უცნობია, რამ გამოიწვია სუს-ის დაფინანსების თითქმის 28%-იანი ზრდა ბოლო ორი წლის განმავლობაში.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წლების განმავლობაში იძიებს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც თავისი არსით, მის სამუშაო მიმართულებაში არ ჯდება და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან შემხებლობა არ აქვს, რაც სამსახურის საბიუჯეტო და ადამიანური რესურსის არარაციონალურად ხარჯვას წარმოადგენს. მაგალითად, 2020 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 1-ელ მარტამდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა: განზრახ მკვლელობის მომზადება, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, თაღლითობა. ყველა აღნიშნული დანაშაული საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება და გარკვეულ შემთხვევებში, ის შესაძლოა გამოიძიოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა. თუმცა, ეს დანაშაულები, რომელთაც, ერთი შეხედვით, არაფერი აქვთ საერთო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან, სუს-მა გამოიძია.<sup>45</sup>

## 6. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის პრაქტიკული ხარვეზები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2015 წლიდან დღემდე ჩამოყალიბდა ფართო უფლებამოსილების მქონე დახურულ უწყებად, რომლის საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოებას უკიდურესად მწირი ინფორმაცია აქვს. პრობლემას ამძიმებს ისიც, რომ უწყებაზე ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი არ ხორციელდება.<sup>46</sup>

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დაინტერესდა, სხვა საგამოძიებო უწყებების ქვემდებარე საქმეების (განზრახ მკვლელობის მომზადება, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, თაღლითობა) გამოძიების გარდა, რა ტიპის საქმეებს იძიებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ქვემოთ მიმოხილულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებების ჩამონათვალი. არც ერთ შემთხვევაში ხმაურიანი ბრიფინგებით დაწყებული გამოძიებების საბოლოო შედეგი საზოგადოებისთვის ცნობილი არაა.

<sup>45</sup> DRI, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საბიუჯეტო და ადამიანურ რესურსებს არარაციონალურად ხარჯავს“, 10.06.2024.

ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1484/>

<sup>46</sup> DRI, „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი არაეფექტიანია“, 29.02.2024.

ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1404/>

## ბიძინა ივანიშვილის გვლელობის მომზადების საქმე

2024 წლის 24 ივლისს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა განცხადება,<sup>47</sup> რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებს უკრაინაში მყოფი, საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებით და დაფინანსებით, საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებს. ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებების მიზანია, ქვეყანაში არეულობის მოწყობის და ხელისუფლების დასუსტების ფონზე, დესტრუქციული ძალების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა.“

საარჩევნო წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ფაქტზე გამოძიების დაწყება სიახლეს არ წარმოადგენს. წარსული გამოცდილება აჩენს ვარაუდს, რომ უწყება მსგავს განცხადებებს საზოგადოებაში დაძაბულობისა და შიშის ფაქტორის გასაჩენად იყენებს, არჩევნების შემდეგ კი, საზოგადოებისთვის უცნობი რჩება, რა ეტაპზეა ან საერთოდ გრძელდება თუ არა გამოძიება.

მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, სამსახურმა გამოკითხვაზე უკრაინაში მებრძოლი არაერთი ქართველი დაიბარა. სუს-ის განცხადების მიხედვით, სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ შეთქმულებასა და ტერორისტული აქტის მომზადებაზე (სსკ-ის 18-323-ე მუხლის პირველი ნაწილით და 315-ე მუხლის პირველი ნაწილით).

„ტერორისტული მიზანი არის მოსახლეობის დამინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.“<sup>48</sup> შესაბამისად, ამ მძიმე ბრალდებაზე, აუცილებელია გამოძიების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტის დაცვა და ყველა საექვო კითხვაზე ამომწურავი პასუხის არსებობა. გამოძიების საჯაროობის მოთხოვნას ვერ ექნება აბსოლუტური ხასიათი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი განსხვავებულია და თითოეულ საქმეში სახელმწიფომ საჯაროობასა და გამოძიების ინტერესებს შორის სწორი ბალანსი უნდა დაიცვას.<sup>49</sup> თუმცა, გამოძიების დაწყების, მიმდინარეობის ან/და დასრულების შესახებ საზოგადოებისთვის ეტაპობრივად ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება განსაკუთრებით იმ საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით არსებობს, რომლებმაც, თავისი არსით, შესაძლოა, შიშისა და საფრთხის შემცველი გარემოს განცდა გააჩინოს საზოგადოებაში. შესაბამისად,

<sup>47</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, 24.07.2024.

ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/news/943/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba>

<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 323-ე მუხლის შენიშვნა.

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=262>

<sup>49</sup> Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights, Effective Investigations into Death or Ill-treatment caused by Security Forces, 2020 წლის ივლისი, გვ. 10.

საგამოძიებო ორგანომ უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის ინფორმაციის მიწოდებით, რაც, მხოლოდ ერთჯერადად გავრცელებული განცხადებით არ მიიღწევა.

საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია რა ეტაპზეა და როგორ მიმდინარეობს აღნიშნული საქმის გამოძიება ან წარედგინა თუ არა ვინმეს ბრალი.

## „რევოლუციური სცენარი“ 2023

სუს-მა 2023 წლის 2 ოქტომბერს საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა *მოსალოდნელი საპროტესტო აქციებიდან მომდინარე „რევოლუციის“ საფრთხეს*.<sup>50</sup> სუს-ი ამ განცხადებაში საუბრობდა გარედან მართულ „დესტაბილიზაციასა“ და უკრაინული „მაიდნის სცენარის“ გამეორების საფრთხეზე.

2023 წლის სექტემბერში უწყება საზოგადოებას უმტიციცებდა, რომ კონკრეტულმა ჯგუფებმა უნდა გამოიწვიონ „საპროტესტო აქციებში მონაწილე მშვიდობიან მოსახლეობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რიგებში მსხვერპლი.“<sup>51</sup> ამავე განცხადების მიხედვით, „ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები იმედოვნებენ, რომ მოხდება უმისამართო სროლა სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის დუზინფორმაციასთან ბრძოლის თავში აღნიშნავს, „საქართველოზე გავლენის მოპოვებით დაინტერესებული ცალკეული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურები ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ საქართველოს მოქალაქეებთან, მათ შორის კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან, ექსპრტებსა და პირთა ჯგუფებთან. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა საკუთარ ან მესამე ქვეყნებში გამართული სხვადასხვა სახის სემინარები, კონფერენციები, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები.“

უწყება განცხადებაში რევოლუციური სცენარის განვითარების კონკრეტულ დროსაც უთითებდა - 2023 წლის ოქტომბერი-დეკემბერი. ამ პერიოდში საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გამხდარიყო, მიიღო თუ არა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. 2022 წლის ივნისში, როდესაც საქართველომ მოლდოვასა და უკრაინისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო, ქვეყანაში ფართომასშტაბიანი პროტესტი დაიწყო. სუს-ის განცხადების შინაარსი და დროის პერიოდი, შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ მმართველ პარტიას არ ჰქონდა კანდიდატის სტატუსის მინიჭების მოლოდინი და სუს-ის რესურსის გამო-

<sup>50</sup> ინტერპრესნიუსი, „სუს-ი ორგანიზაცია „კანვასის“ მიმართ, რომელიც მათივე ინფორმაციით, რევოლუციური სცენარის მომზადებაშია ჩართული, საგამოძიებო მოქმედების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს და „მტიციცებულების ნაწილს“ ასაჯაროებს“, 02.10.2023, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/771799-sus-i-organizacia-kanvasis-mimart-romelic-mative-inpormaciit-revoluciuri-scenaris-momzadebashia-chartuli-sagamoziebo-mokmedebis-sheaxeb-inpormacias-avrcelebs-da-mtkicebulebebis-nacils-asajaroebis>

<sup>51</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, 18.09.2023.

ხელმისაწვდომია: <https://sug.gov.ge/news/873/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba>



ყნებით ცდილობდა ხალხის დაშინებას, ყურადღების გადატანას და ამ ფონზე, საპროტესტო მუხტის ჩახშობას. ამასთან ერთად, სუს-მა 2023 წლის სექტემბერში დაწყებული გამოძიების მტკიცებულებად ფარული ჩანაწერი წარმოადგინა. აღნიშნულ ვიდეოჩანაწერში აღბეჭდილია USAID-ის პროგრამის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგი, სადაც უწყების თქმით, ორგანიზაცია „კანვასის“ წარმომადგენლები, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად „რევოლუციურ სცენარს“ გეგმავენ.<sup>52</sup> ამ მიზნით, უწყებაში გამოკითხვაზე არაერთი მათგანი დაიბარეს.<sup>53</sup> აღნიშნული განცხადება, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციას და რევოლუციური სცენარის მომზადებაში ამერიკული მხარის ჩართულობის ირიბად მინიშნებას.

ვარაუდს, რომ უწყებამ განცხადება მოსალოდნელი საპროტესტო მუხტის ჩასახშობად და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მიზნით გამოიყენა, ამყარებს ისიც, რომ 2023 წელს „რევოლუციურ სცენარებს“ ადგილი არ ჰქონია.

საზოგადოებისთვის უცნობია, რა ეტაპზეა გამოძიება.

## „რევოლუციური სცენარი“ 2024

2024 წლის აპრილში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (ე.წ. რუსული კანონის) კანონპროექტის განმეორებით ინიცირებას მასშტაბური საპროტესტო აქციები მოჰყვა. საპროტესტო ტალღის ფონზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კვლავ გააკეთა განცხადება კონკრეტული ჯგუფების მიერ შესაძლო რევოლუციური სცენარის მოწყობის თაობაზე.<sup>54</sup>

*უწყების მიერ 2024 წლის აპრილში და 2023 წლის სექტემბერში გაკეთებული განცხადებების შინაარსი ერთმანეთის იდენტურია. შესაბამისად, ჩნდება კითხვები: თუ სუს-ს 2023 წელს ჰქონდა რეალური მტკიცებულებები „რევოლუციური სცენარის“ შესახებ, რა კონკრეტული დონისძიებები განახორციელა სამსახურმა; რატომ ვერ უზრუნველყო არსებული საფრთხეების აღმოფხვრა და რატომ დაიწყო საუბარი 8 თვის შემდეგ იგივე დანაშაულის საფრთხის არსებობაზე.*

2024 წლის აპრილსა და მაისში ფართომასშტაბიანი აქციები გაიმართა. 28 მაისის (პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის) შემდეგ, პროტესტის ტალღა ნელ-ნელა შეწყდა. სუს-ის განცხადებიდან 4 თვის შემდეგ საზოგადოებისთვის უცნობია რა ეტაპზეა გამოძიება, რა პრევენციული თუ საგამოძიებო მოქმედებები განახორციელა სამსახურმა საფრთხის აღმოსაფხვრელად/საქმის გამოსაძიებლად და იდენტიფიცირებულები არიან თუ არა კონკრეტული პირები.

<sup>52</sup> 1tv.ge, „სუს-ი ორგანიზაცია „კანვასის“ წარმომადგენლების მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ნაწილს აქვეყნებს“, 02.10.2023. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/sus-i-organizacia-kanvasis-warmomadgenlebis-mimart-chatarebuli-faruli-sagamodziebo-moqmedebis-shedegad-mopovebuli-mtkicebulebebis-nawils-aqveynebs-video/>

<sup>53</sup> პუბლიკა, „კანვას-საქართველოს“ დირექტორი გიორგი მელაძე გამოკითხვაზე დაიბარეს“, 04.10.2024. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/sus-shi-gamokitkhvaze-k/>

<sup>54</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, 8.05.2024, ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/news/932/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba>



## სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმის საქმე

სუს-მა კიდევ ერთი დაუსრულებელი გამოძიება 2022 წელს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმის საქმეზე დაიწყო.

2022 წლის 8 აპრილს საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ უკრაინის რადის თავმჯდომარემ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბუჩაში ჩასვლის მიწვევა გაუგზავნა. მიწვევასთან დაკავშირებით მხარეებმა რამდენჯერმე გაცვალეს საჯარო და წერილობითი პოზიცია, თუმცა, საბოლოოდ ქართული დელეგაცია უკრაინაში ჩავიდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო დელეგაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გია ვოლსკის განცხადებით,<sup>55</sup> „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო დელეგაციაში მონაწილეობაზე უარი იმიტომ თქვა, რომ უკრაინაში ვიზიტის დროს „გარკვეულ პროვოკაციას“ გეგმავდა. სუს-მა დაადასტურა, რომ 2022 წელს გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლით, რაც საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმას გულისხმობს.

მიუხედავად დელეგაციის უკრაინაში ჩასვლისა, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე თავდასხმის არც ერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, უწყებამ ასეთ მძიმე ბრალდებაზე კონკრეტული მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. გამოძიების დაწყებიდან 2 წელზე მეტი გავიდა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც უცნობია, რატომ უტაჯუა საქმის გამოძიება.

## შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ

სუს-მა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მუხლით კიდევ ერთი გამოძიება 2021 წელს დაიწყო. სამსახურის მტკიცებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში, გლდანის მე-18 დაწესებულებაში გადაყვანისას, კონკრეტულ პირებს დაგეგმილი ჰქონდათ „გზების ბლოკირება და დესტრუქციული ქმედებებით, ქაოსისა და უკონტროლო სიტუაციის შექმნა.“<sup>56</sup> 2021 წელს გამოძიება სსკ-ის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს შეთქმულებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების

<sup>55</sup> რადიო თავისუფლება, „სუსმა საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე შესაძლო თავდასხმის საქმეზე გამოძიება დაიწყო“, 15.04.2022, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31804996.html>

<sup>56</sup> ფორმულა, „დესტრუქცია და გზების ბლოკირება - სუსმა სახელმწიფო დამხობის მუხლით გამოძიება დაიწყო“, 29.10.2021. ხელმისაწვდომია: [https://formulanews.ge/News/59129?fbclid=IwAR2c1gdoZ-IW9AsM6GD-kemk1yphQ3J44IXwoSfezZD5\\_DT989ktfyDsmGc](https://formulanews.ge/News/59129?fbclid=IwAR2c1gdoZ-IW9AsM6GD-kemk1yphQ3J44IXwoSfezZD5_DT989ktfyDsmGc)

ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.

სუს-ის მტკიცებით, საუბარი მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა. საუბრის ორსაათიანი ჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეს დაერთო. უცნობია, კონკრეტული პირების საუბრის ჩანაწერის სამართლებრივი საფუძველი - ამ დროს უკვე მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება და ვიდეო ჩანაწერი წარმოადგენს თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სამსახური, ერთი შეხედვით, კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოქმედებდა, საზოგადოებისთვის უცნობია რა შედეგით დამთავრდა აღნიშნული საქმის გამოძიება.

## შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების მუხლით (სსკ-ის 315 მუხლით) გამოძიება 2015 წელსაც დაიწყო.<sup>57</sup> უწყების განცხადებით, გამოძიებას საფუძვლად უკრაინული მედიასამუალებების მიერ გავრცელებული მასალა დაედო, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილი ბარიკადების მოწყობის მეშვეობით, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ დაცვის საჭიროებაზე საუბრობს და გიგა ბოკერიასა და ნიკა გვარამიას „რევოლუციური სცენარი“ მოქმედებისკენ მოუწოდებს.<sup>58</sup>

ნიკა გვარამია და გიგა ბოკერია გამოძიების დაწყებიდან 2 წლის შემდეგ, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ დაიბარეს უწყებაში საქმის მასალების გასაცნობად.<sup>59</sup> აღნიშნული საქმე თვალსაჩინო მაგალითია, რომ კონკრეტული პირების საგამოძიებო ორგანოში დაბარება შეიძლება მხოლოდ გამოძიების ინტერესებს არ ემსახურებოდეს.

მივიწყებული საქმის წინასაარჩევნო პერიოდში გახსენება, სავარაუდოდ, სწორედ საარჩევნო გარემოზე გავლენის მოხდენის, საზოგადოების დაშინების და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზანს ემსახურებოდა. მიუხედავად სამსახურის 2015 წლის განცხადებისა, რომ არსებობდა კონკრეტული მტკიცებულებები სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, 2 წლის განმავლობაში უწყება ამ მიმართულებით სრულიად უმოქმედო იყო. 2 წლის შემდეგ კი, ერთადერთი განხორციელებული ღონისძიება კონკრეტული პირების დაბარება და საქმის მასალების გაცნობა იყო.

საზოგადოებისთვის უცნობია, ამჟამად რა ეტაპზეა გამოძიება.

<sup>57</sup> Civil.ge, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 'სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულებაზე გამოძიება დაიწყო', 24.10.2015. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/154547>

<sup>58</sup> Civil.ge, „საკაშვილის სატელეფონო ჩანაწერები გავრცელდა რუსთავი 2-ის შესახებ“, 30.10.2015. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/154567>

<sup>59</sup> Netgazeti, „სუს: გვარამია და ბოკერია საქმის მასალების გასაცნობად დაიბარეთ“, 25.08.2017. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/216694/>

საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან, არეულობისა და ძალადობისგან უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ვალდებულებაა, რის შესასრულებლადაც მათ ხელში ფართო ძალაუფლებაა კონცენტრირებული. ეფექტიანი საზედამხედველო მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებისა და მათი პრაქტიკაში აქტიური გამოყენების მთავარი მიზანი უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების პრევენცია, მანდატის კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენების კონტროლი, სამსახურების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და რეკომენდაციების გაცემის გზით, მათი საქმიანობის გაუმჯობესებაა.

საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონში შექმნილი დაძაბული გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, რუსეთისგან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების ფონზე. საპარლამენტო ზედამხედველობა კი უწყებაზე დემოკრატიული კონტროლის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვება ცხადყოფს, რომ საქართველოს პარლამენტი საზედამხედველო ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს. პასიური კანონმემოქმედებითი საქმიანობა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მიმართ ინტერპელაციის, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე სავალდებულო დასწრების და სხვა საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების გამოუყენებლობა, სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის დახურულ ფორმატში და რეკომენდაციების შემუშავების გარეშე განხილვა ნეგატიურ გავლენას ახდენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის გამჭვირვალებაზე, ანგარიშვალდებულებასა და უწყების მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებაზე.